№10 იანვარი 16, ხუთშაბათი 1892 იანვარი 16 ხუთშაბათი №10

# ივერია

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892

ამ ნომერში ათი გვერდია.

## „საურთიერთო დამხმარებელ ამხანაგობისაგან“

„საურთიერთო დამხმარებელ ამხანაგობის“ კანცელარია იმყოფება განოვის ქუჩაზე, სახლის № 7, ზემო სართულში. პირის-პირ მოლაპარაკება „ამხანაგობის“ მმართველთან შეიძლება კვირაობით, დილის 9 საათიდამ 11-მდე და ხუთშაბათობით 11—12 საათამდე.

ყოველისავე ცნობის შეტყობა შესახებ „ამხანაგობისა“ შეიძლება ამხანაგობის მდივანს გრიგოლ ყიფშიძესთანაც გაზ. „ივერიის“ რედაქციაში ყოველ-დღე, დილის 10 საათიდამ 12-მდე. (5—3)

## ტფილისის ქალაქის თავისაგან

დროებით დადგმულის ხიდის ჩანგრევის უბედურობა წმ. ნათლი-ღება დღეს, ჩვენდა დიდად სამწუხაროდ, უმსხვერპლოდ არ გათავდა.

რამდენმამე ოჯახმა იმ დღეს დაჰკარგა თვისი მასაზრდოებელნი. ვიცი რა გულ-შემატკივრობა ქალაქის მცხოვრებთა, როცა საქმე მათგან შემწეობას ითხოვს, ჩემს მოვალეობად დავსახე გავმართო ქალაქის გამგეობაში ხელის-მოწერა შემოწირულებათა მისაღებად იმ სახლობათა სასარგებლოდ, რომელთაც დაჰკარგეს ვინმე ზემოხსენებულ უბედურობის დროს.

შემოწირულებანი მიიღება ქალაქის გამგეობაში, ყოველ დღე, ნაშუადღევის ორ საათამდე. (5—4)

20 იანვარს, საღამოს 8 საათზედ, დანიშნულია კრება კავკასიიის იურიდიულ საზოგადოების წევრთა ტფილისის ოლქის სასამართლოს დარბაზში. კრება განიხილავს მორიგ საქმეებს და შემდეგ მოისმენს საზოგადოების წევრის ბ-ნ ა. ს. ფრენკელის მოხსენებას: ყაჩაღებისა და ავაზაკების ისტორიის შესახებ კავკასიაში— ტატო წულუკიძე.

საზოგადოების წესდების მე-17 § ძალით, მისს კრებაზე არა-წევრთაც შეუძლიანთ დასწრება. (2—1)

## † დიდი მთავარი კონსტანტინე ნიკოლოზის ძე.

ეს არის ეხლა სამერეს მიბარებული დიდი მთავარი, ეჭვი არ არის, წარსულ მეფობის ერთ საუკეთესო წარმომადგენლად ჩაითვლება. საკმაოდ დიდის ხნის განმავლობაში მას დიდი გავლენა ჰქონდა ჩვენის კანონ-მდებლობის პროგრესიულს მიმართულებაზედ. ამა მეფობის პირველსავე ხანს, მე-ორმოც-და-ათე წლებში, იმისდა-მიუხედავად, რომ ზღვათა უწყების მმართველი იყო, განსვენებულმა სახელმწიფო მოღვაწემ შეიძლო და გარკვევით აღნიშნა ის ახალი მიმართულება, რომელსაც შემდეგში დიდ-ხანს არა ჰღალატობდა ახალ მიმართულებს თავისის მოღვაწეობის ყოველს საქმეში. პიროგოვის წერილების აღზრდა - განათლების შესახებ „Морской Вѣстникъ“-ში დაბეჭდვა, ის გარემოება, რომ ზღვათა სამინისტროს სამეცნიერო ექსპედიციაში იმ დროის მოწინავე ლიტერატორები იყვნენ: ოსტროვსკი, პისემსკი, და სხ. მთელს ეპოქას შეადგენს რუსეთის ლიტერატურაში, რომელიც იმ დრომდე სრულიად დაჩაგრული და საზოგადოებრივს ცხოვრებას მოკლებული იყო. შემდეგში, მე-50 და მე-60 წლებში, განსვენებულს უფრო თვალ-საჩინო, უფრო გავლენიანი როლი ჰხვდა. ბატონ-ყმობის მოსპობას იგი მხნედ ებრძოდა და მხოლოდ იმისის მფარველობის წყალობით, ეს საქმე არა ერთს სცილლასა და არა ერთს ხარიბდას გადარჩა.

1862 წ. დიდი მთავარი კონსტანტინე ნიკოლოზის ძე პოლშაში მშვიდობიანის პროგრამით მივიდა, ვრცელი თვით-მმართველობის უფლება უნდოდა მიენიჭებინა, მაგრამ სამწუხაროდ, ეს პროგრამა ღირსეულად ვერ დააფასა ვერც ერთმა მხარემ და ვარშავში იმავე წელს მომხდარმა უწესოებამ დიდი სისასტიკე გამოიწვია. პეტერბურგში დაბრუნებისათანავე დიდს მთავარს დიდი გავლენა ჰქონდა სახელმწიფო საქმეებზედ, როცა სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარედ იყო დიდის ხნის განმავლობაში, ახალის მეფობის დაწყებამდე.

განსვენებულს სახელმწიფო მოღვაწეს დიდ სამსახურად და ღვაწლად მისაჩნევია აგრეთვე ისიც, რომ დიდი უნარი ჰქონდა განათლებულ და მოსაქმე თანაშემწეთა ამორჩევისა. ზღვათა სამინისტრომ, დიდის მთავრის მმართვა-გამგეობის დროს, რუსეთს სახელმწიფო მოღვაწეობის ყველა სარბიელზედ მთელი გუნდი შესძინა საუკეთესო მოღვაწეთა. ამის დასასაბუთებლად საკმარისია დავასახელოთ ისეთი კაცები, როგორნიც იყვნენ გოლოვნინი (საერო განათლების მინისტრად ნამყოფი) გრ. დ. ა. ტოლსტოი, სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტად ნამყოფი, და რეიტერნი (ფინანსთა მინისტრად ნამყოფი).

განა-სათქმელი-ღაა, რომ ვიდრე რუსეთს ბევრი არა ჰყავს ისეთი განათლებული და კაცთ-მოყვარე მოღვაწე, როგორიც განსვენებული დიდი მთავარი იყო, იმისს სახელს განსაკუთრებულის მადლობით მოიხსენიებს ჩვენის საზოგადოების მთელი მოაზრე ნაწილი.

დიდი მთავარი კონსტანტინე ნიკოლოზის ძე, მეორე ძე იმპერატორის ნიკოლოზ I-ლისა, დაიბადა 1827 წ. 9 სექტემბერს; 1848 წ. დაქორწინდა და შეირთო პრინცესა საქსენ-ალტენბურგისა (დიდი მთავრინა ალექსანდრა იოსების ასული); სხვა-და-სხვა დროს იგი ასრულებდა მოვალეობას გენერალ-ადმირალისას, პოლშის მთავარ-მართებელისას, და სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარისას. 1889 წ. დიდს მთავარს უკურნებელი სენი დაემართა (დამბლად ჩავარდა), რომლის გამოც 13 ამა იანვარს გარდაიცვალა. განსვენებულის შვილთაგან უფრო ცნობილნი არიან: ოლგა კონსტანტინეს ასული, დედოფალი საბერძნეთისა და დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე, აწინდელი პრეზიდენტი სამეცნიერო აკადემიისა. („Нов. Обоз.“)

## ახალი ამბავი

*** წუხელ, ღამის 9 საათზე, შემდეგი დეპეშა მივიღეთ ოზურგეთიდგან: „დღეს ნაშუადღევის პირველს საათზე, სოფელს უჩხუბში პოლიციამ მოჰკლა გავარდნილი ყაჩაღები დათუნაიშვილი და მეხუზლა, რომელთაც თავისის მხრით მოჰკლეს ოთხი და დასჭრეს ორი კაცი მდევართაგანი.“

*** 13 იანვარს კრება იყო ქალაქის საბჭოსი; განსახილველი ჰქონდა ოცამდე მორიგი საქმე, რომელთა შორის გაარჩია მხოლოდ ერთი. ეს ერთი შეეხებოდა იმ საშუალებას, რომელიც უნდა იღონოს საბჭომ, რომ დაეხმაროს ნათლი-ღება დღეს გაუბედურებულ ღარიბ ოჯახობათ. ქალაქის მოურავმა მოახსენა კრებას, რომ ამ საქმისთვის აუცილებლად საჭიროა ამორჩეულ იქმნას ხუთი კაცი, რომელთაც უნდა შეადგინონ აღმასრულებელი კომისია, დაწვრილებით გამოიკვლიონ მდგომარეობა უბედურ ოჯახობათა, გამოიანგარიშონ, რამდენი ფული უნდა იქმნას გადადებული მათ დასახმარებლად და წარმოუდგინონ საბჭოს მოხსენება იმისი, თუ თვით ქალაქმა რამდენი ფული უნდა გადასდოს, რომ ღირსეულად უპატრონოს უბედურებს. ამისთანა კომისიის ამორჩევა მით უფრო აუცილებელიაო—ბრძანა ქალაქის მოურავმა—რომ გამგეობას ძლიერ ბევრი სამუშაო დაატყდა თავს ქალაქის მოვლა-პატრონობისა და, თუმცა თავის მხრივ არაფერს არ დაჰზოგავს ცნობათა და ფულის შესაკრებად, მაგრამ მაინც იმდენს ვერ გააკეთებს, რასაც კომისიაო. საბჭომ მიიღო წინადადება და აირჩია კომისია კენჭის ჩამოტარებით.

კრებამ განიხილა აგრეთვე ორი მოხსენება ქალაქის მოურავისა, რომელიც არ იყო ჩართული მორიგ საქმეთა სიაში. ერთი შეეხებოდა განსვენებულის იაკობ სოლომონის ძის აბესალომოვის ანდერძს, რომელიც თვით ქალაქის მოურავმა წაუკითხა კრებას და რომლის შინაარსი ამას წინადა გვქონდა მოყვანილი ჩვენს გაზეთში, ხოლო მეორე—გარდაცვალებას გამგეობის საქმეთა-მწარმოებლისას იო-

## ფელეტონი

### სული და სხეული

(მორიც ლილიეს ნაწერი)

ამას ეჭვი აღარ უნდა, რომ სული და სხეული ყოველთვის როდია ერთმანეთთან წყობისად შეფერებული და, პირ-იქით, ხშირად შუა უზის დიდი ზღვარი, დიდი შეუსაბამობა. არა იშვიათად მოხდება ხოლმე, რომ თვალად და ტანად მშვენიერს სხეულში საღგურობს უდიერი, ქვენა ვნებათაგან პყრობილი სული, თავს იფარავს სირეგვნე და გული, ყოველ იმის უგრძნო, რაც დიადი და აღმამფრენია. ამასთანავე ისიც ხშირია, რომ ტანად უშნო, მახინჯი ადამიანი თვალსაჩინოდ ასპარეზობს მსოფლიო ისტორიაში, მეცნიერებასა და ხელოვნებაში. მეტის-მეტად საინტერესო ამბავია, თუ დავუკვირდებით ისტორიაში ამ გვარს მაგალითებს. ხშირად გაოცებით ვტყობილობთ, რომ მახვილით მტრის ზარ-დამცემი გმირი საპყარი ყოფილა, ან-და გათქმულს ჭკუის ბუმბერაზს, გონების დევს საზარელი სახე ჰქონია და უძლური, ღონე-მიხდილი, ყოვლად შესაბრალისი სხეული.

ძველის დროის ერთი უდიდესი მხედართ-მთავარი, სპარტელი მეფე აგეზილასი II, პაწია ტანისა იყო, დალეული, ცალფეხ-უხმარი, მაგრამ ამისდა მიუხედავად მტერს შიშის ზარს სცემდა და, როგორც იმისი თანამედროვე ქსენოფონტე ამბობს, ბრძოლაში გასაშტერებელს გულადობას იჩენდა ხოლმე. იმან შემუსრა სპარსელნი, რიცხვით ბევრად უფრო მეტნი, და საშინლად დაამარცხა ათინელთ, კორინთელთა და თებაელთ შეერთებული ძალი. ვანდალების რისხვა-ცოხილი მეფე გენზერიხიც, რომელსაც ისტორია გვისახავს პაწია, უშნო და თან მეტის-მეტად შეუპოვარ, მხნე ვაჟკაცად, კოჭლი იყო, რადგან ერთს ფეხში მოურჩენელი სატკივარი ჰქონდა. იმან დაიმორჩილა მთელი ჩრდილო აფრიკა, ხმელთა შუა ზღვის კუნძულები და იტალიის უმეტესი ნაწილი რომიანად, რომელიც თავისს ჯარებს უბოძა ორის კვირით აღსაოხრებლად, თუმცა პაპი ლეო I ბევრს ევედრა, ნუ იზამ, შეიწყალეო. ის მუსრვის ველური წყურვილი, რომლითაც ყველგან იჩინეს თავი ვანდალებმა, საარაკო ამბავად გადიქცა და, თავის თანამედროეთაგან შეჩვენებული გენზერიხი რომ მოკვდა, იმისგან დაპყრობილმა ხალხებმა თავისუფლად მოითქვეს სული. წარსულ საუკუნოების ერთი დიდებული ჯართ წინამძღოლი, მანგოლთ ძლევა-მოსილი მპყრობელი თემურლენგიც თურმე კოჭლი იყო და ამას გარდა ცალ ხელსაც ვერ ხმარობდა რიგიანად, რადგან ეს ხელი დამბლა-დაცემული ჰქონდა. თემურლენგი უბრალო გლეხის, მიწის მუშაკის შვილი იყო, მაგრამ ჭკუითა და ვაჟკაცობით უმაღლესს ხარისხს მიაღწია და ბოლოს, 1370 წელს, ემირ ჰუსეინის მოკვდინების შემდეგ, ემირად იქმნა გამოცხადებული. სხეულით გლახაკობამ ვერ შეუშალა ხელი, რომ ოც-და-თხუთმეტს ლაშქრობაში ზედი-ზედ დაემხო შუა აზიის ყველა სახელმწიფო და სამღვთო მდინარე განგის შესართავამდის მისულიყო ჯარებით. თემურლენგში ერთად იყო არეული ერთმანეთის წინააღმდეგი თვისება. მტერთან ყოვლად უწყალო და შეუბრალებელი იყო: მაგალითად ბაღდადის აღების დროს სულ უკანასკნელი ოც-და-ათი ათასი კაცი დაახოცვინა. მშვიდობიანობის დროს-კი ნამდვილ მეფური სიქველე ეტყობოდა,—სიმართლის სიყვარული, ლმობიერება, ღვთისნიერობა და სიბრძნე კანონდებულებაში. ის მოკვდა 19 თებერვალს, 1405 წელს, და მალე იმის სიკვდილს შემდეგ ნაწილ-ნაწილ დაირღვა იმის მიერ შექმნილი უშველებელი სახელმწიფო.

მეცნიერებასა და ხელოვნებასაც ჰყავს თავისი წარმომადგენლები, რომელთაც ტანად ღიად დიდი წუნი სდებიათ. ლორდ ბაირონს, ინგლისელთ სახელოვანს პოეტს, ცალის ფეხის ქუსლი შიგნით ჰქონდა მოქცეული, და ვერა საექიმო ხელოვნებამ ვერ უშველა ამ ნაკლულევანებას. არა ნაკლებ სახელ-განთქმული ბაირონის თანამემამულე, შოტლანდიელი რომანისტი ვალტერ სკოტტიც კოჭლი იყო, რადგან ცალი ფეხი მოკლე ჰქონდა. ჩვენს თანამედროვე მგოსანს კარლოტტა პატტისაც, რომელსაც ამას წინად აღტაცებაში მოჰყავდა თავისის საუცხოო ხმით მთელი ევროპა და ამ ერიკა, ასეთივე წუნი აქვს და ამ მიზეზით ველარ ასპარეზობს სცენაზე ისე, როგორც იმისი დაჲ ადელინა. ამ გვარისვე ნაკლის მქონე იყო m-elle დე-ლავალიერი, რომელიც მეფე ლიუდოვიკ IV კარზე სცხოვრებდა და, ამისდა მიუხედავად, თავის დროის უულამაზესს ქალად ითვლებოდა.

ძნელი საპოვნელია სხეულის მეორე ისეთი ნაკლი, რომ მეტს შებრალებას იწვევდეს, ვიდრე სიბრმავე იწვევს. საბრალო ბრმა მოკლებუ-

სებ დავითის ძის ახშარუმოვისას. ანდერძის თაობაზე ქალაქის მოურავმა მოახსენა კრებას, რომ ჯერ-ჯერობით აღმოჩნდა 27 ათასი მანეთიო და დანარჩენის შეძლების აღმოსაჩენად ქაღალდებია გაგზავნილი სხვა-და-სხვა ბანკებსა და დაწესებულებაში, რომ გვაცნობონ, არის თუ არა იქ შეტანილი ფული განსვენებულ აბესალომოვის მიერო, და შემდეგის კრებისთვის იმედია შემეძლება შეგატყობინოთ რაოდენობა ნაანდერძევის ფულისაო. რადგან განსვენებულმა ამოდენა შეძლება დასტოვა სასარგებლოდ ღარიბ მოსწავლეთა, მე ვთხოვ საბჭოსა, რომ ფეხზე წამოვდგეთ და ამით პატივი ვცეთ განსვენებულს ი. ს. აბესალომოვს. კრება წამოდგა ფეხზე. გარდაცვალებულის ი. დ. ახშარუმოვის შესახებ ქალაქის მოურავმა მოახსენა საბჭოს, რომ იგი დიდ-ხანს იყო მოხელედ ქალაქის გამგეობისა, პატიოსნად ეკიდებოდა საქმეს, დასტოვა ოჯახი სიღარიბეში და გთხოვთ ოცი თუმანი გადაეცეს მისს სახლობას განსვენებულის დასაფლავების ხარჯად, ვიდრე სხვა ჯეროვანს შემწეობას აღმოვუჩენდეთ მისს ოჯახობასაო. კრებამ ერთ-ხმად მიიღო წინადადება ქალაქის მოურავისა. ბოლოს მწვავე ბაასი გამოიწვია ხმ. მიქელაძის მიერ დაწყებულმა ლაპარაკმა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ემოქმედნა ქალაქის გამგეობას, რომ წყალ-კურთხევის უბედურება ასცდენოდა ტფილისსაო. სიტყვა, წარმოთქმული ხმ. მიქელაძის მიერ, ცალკეა დაბეჭდილი დღევანდელსავე ნომერში.

⁂ 14 იანვარს წმ. ნინოს საქალებო სასწავლებელში იყო წლიური აქტი, რომელსაც დაესწრნენ: მისი ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ეგზარხოსი, მთავარ-ეპისკოპოსი პალლადი, ეპისკოპოსნი ალექსანდრე და ბესარიონი, მთავარმართებელის თანაშემწე გრაფი ტატიშჩევი მეუღლითურთ, გენერალ-ლეიტენანტი თ. ამილახვარი, მზრუნველი ლოსამოსწავ ოლქისა კ. პ. იანოვსკი, გუბერნიის მარშალი ლ. ა. მაღალაშვილი და სხვანი.

აქტი დაიწყეს საგალობელით „Коль славенъ", რომელიც მწყობრად და სასიამოვნოდ სთქვეს მოწაფეებმა. ამას შემდეგ სასწავლებლის ინსპექტორმა ი. ა. კრუპენნიკოვმა წაიკითხა შემოკლებით წლიური ანგარიში სასწავლებლისა. ანგარიშიდან სჩანს, რომ წარსულს წელს წმ. ნინოს საქალებო სასწავლებელს შესრულებია 46 წელიწადი და ეხლა სასწავლებელში 424 მოწაფეა, რომელნიც ეროვნებით ასე განიყოფებიან: ნახევარზე მეტი რუსებია, მესამედი-ქართველები და სომხები ერთ მეექვსედი. სასწავლებლის შესანახად წელიწადში იხარჯება 81227 მ. სასწავლებელს ჰქონია ორი ბიბლიოთეკა, ერთი მოწაფეთათვის, სადაც არის 2000 ტომზე მეტი და ფუნდამენტალური, რომელშიაც არის 2500 ტომი. 424 მოწაფეთაგან 255 პანსიონში იმყოფება და 169-კი გარედან დაიარება. საანგარიშო წელს სწავლა-მეცადინეობა მშვენიერად მიმდინარეობდა, ასე რომ ოლქის საქალებო სასწავლებელთა შორის წმ. ნინოს სასწავლებელს მეორე ადგილი უჭირავს. სასწავლებელში, როგორც მოვიხსენიეთ, მესამე ნაწილი ქართველები ყოფილან, ე. ი. ი. 141. ამათში ქართულს სწავლობს მხოლოდ 77 მოწაფე. მეხუთე კლასიდან ქართულს აღარ ასწავლიან.

აქტის დასასრულს მოწაფეთა ხორომ იმღერა „ღმერთო, ჰფარვიდე მეფესა" და საუკეთესო მოწაფეებს დაურიგეს საჩუქრები.

დიდის მთავრის კონსტანტინე ნიკოლოზის გარდაცვალების გამო ბალი გადადებულ იქმნა.

⁂ ქართულს დრამატიულს კომიტეტს, როგორც იცის მკითხველმა, რამდენიმე პიესა წარუდგინეს საპრემიოდ. კომიტეტმა განიხილა ეს პიესები და არც ერთი მათ შორის პრემიის ღირსი არ აღმოჩნდა. როგორც შევიტყეთ, კომიტეტს მხოლოდ ერთი პიესა მოსწონებია იმდენად, რომ მისი წარმოდგენა შესაძლებელად დაუნახავს. ეს პიესა წარსულის ცხოვრების შესახების შინაარსისაა და სახელად ეწოდება „და-ძმა".

⁂ 20 იანვარს, საღამოს 8 საათზე, ტფილისის ოლქის სასამართლოს დარბაზში დანიშნულია კრება კავკასიის იურიდიულ საზოგადოებისა. კრება თავის მორიგ საქმეების განხილვის გარდა, მოისმენს საზოგადოების წევრის ა. ს. ფრენკელის მოხსენებას: ყაჩაღობისა და ქურდობა-ავაზაკობის ისტორიის შესახებ კავკასიაში—ტატო წულუკიძე. მოხსენების საგანი დიდად საყურადღებოდ მიგვაჩნია, მეტადრე ეხლა, როცა ასე გაუჭირდა წელს ხალხს საქმე, განსაკუთრებით გურიასა და ქართლში, ავაზაკობისა და ყაჩაღობისაგან. კრებას არა წევრთაც შეუძლიანთ დაესწრნენ.

დღეს, საღამოს 7$^1/_2$ საათზე, დანიშნულია კრება კავკასიის სამკურნალო საზოგადოებისა. მოხსენებას წაიკითხავენ: ჯარა-ექიმი კარპეჩენკო და მკურნალი მამინოვი.

⁂ ორშაბათს, 13 იანვარს, ტფილისში, პანსევიჩის ქუჩაზე, ახუნდოვის სახლში, ქურდებმა განჯის მცხოვრების ასკერ-ბაბას სადგომის კლიტე გასტეხეს, ოთახში შევიდნენ და ერთი რკინის ზანდუკი წაიღეს 7 ფუთის სიმძიმისა. ყუთში 1,700 მანათი ფული იყო, 6 მომგებიანი ბილეთი 1 პირველის შინაგან სესხისა, 2—მეორისა და 2 სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკის მესამე სესხისა, 14 ხუთ მანეთიანი ოქრო და ერთიც შევერცხლილი ხანჯალი.

⁂ ჩვენ მოგვივიდა პეტერბურგიდგაორი, ქართულ-რუსულად დაბეჭდილი რომანი: „შენ მეტრფი მარად" და „ნანა შვილო ნანინა", მუსიკა ბ-ნ ბალანჩივაძისა. თითოეულ რომანსის პირველს ფურცელზედ დახატულია ქართულად მორთული ქართველი ქალი და ზედ აწერია ქართულად და რუსულად: „ქართული ქნარი". Грузинская лира, романсы и пѣсни, соч. М. Баланчивадзе. ფასი თითო რომანსისა 40 კაპ. ქართულის რომანსების დაბეჭვდა ფრიად სასიამოვნო ამბავია, რადგანაც პირველი მაგალითია მათი დაბეჭდვა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ შემდეგში ეს ძნელი საქმე უფრო გაადვილდება. ბ-ნს ბალანჩივაძეს, რომელიც ამ ჟამად პეტერბურგის მაღალს სამუსიკო სასწავლებელში იმყოფება, ფიქრად აქვს რამდენიმე ქართული რომანსი და სიმღერა კიდევ დაბეჭდოს, თუ უკვე დაბეჭდილი რომანსები მოეწონება საზოგადოებას.

⁂ ჩვენ მოგვივიდა ცალკე წიგნად დაბეჭდილი „პროტოკოლი" კავკასიის სამკურნალო საზოგადოებისა, № 12. ამ წიგნში მოხსენებულია, სხვათა-შორის, რამდენი ავადმყოფი ყოფილა მიხეილის სამკურნალოში 1891 წლის ოქტომბრის თთვის განმავლობაში.

⁂ ქიურდამირი: 13 იანვარს აქ საქონლის მატარებელის ქვეშ ჩავარდა ობერ-კონდუქტორი თევდორე სტეფანოვი, ტომით რუსი, და იმ დღესვე გარდაიცვალა. საცოდავს დარჩა ცოლი და წვრილი შვილები.

⁂ გაზეთი „კავკაზი" სწერს, რომ კავკასიის ქალაქების უძრავ მამულებზე დაწესებული სახელმწიფო გადასახადი წელს აღრიცხულია 159,934 მან. 14 კაპ. ამ ფულიდამ მარტო ტფილისს ხვდება 63,611 მ. 13 კ., რადგან ქალაქის მამულები დაფასებულია 32,805,760 მან., ხოლო სახელმწიფო ხარჯად იკრიბება ამ ფულიდამ მანათზე $^1/_5$ კაპეიკისა. წინად ამ წესით არ აღირიცხებოდა ეს ხარჯი. წელს ტფილისს ხვდა 16,992 მან. 87 კაპეიკით მეტი, ვიდრე წინა წლებში. ამას გარდა, მთავრობა სთხოვს ქალაქს ახალის წესით გადახდას შარშანდელისა და შარშანწინდელის ბაჟისასაც—33,985 მან. 74 კაპ. ამ სახით ამ ბაჟისა ქალაქმა უნდა გადიხადოს 63,611 მან. 13 კაპ. 1892 წლისა, 33,985 მან. 74 კაპ., 1890 და 1891 წლისა, $^1/_5$ კიდევ 1888 წლის გადასახადისა—9,323 მან. 66 კაპ., ხოლო სულ 106,920 მან. 53 კაპ. ცხადია, ამოდენა ფულს ქალაქი ვერ შეიძლებს ერთბაშად გადაიხადოს, ამიტომ ქალაქის გამგეობამ დაამზადა მოხსენება და უნდა წარუდგინოს საბჭოს, რომ მან სთხოვოს მთავრობას, 33,985 მ. 74 კ. შარშანდელი და შარშანწინდელი გადასახადი ნაწილ-ნაწილ გამოერთვას მცხოვრებლებს უჯარიმოდ, იმ მოსაზრებით, რომ ამ ხანად ტფილისი ეკონომიურად დიდს გაჭირვებაშია და მისი სავაჭრო და სამრეწველო მნიშვნელობა ძლიერ დაეცა.

⁂ 13 იანვარს, ღამის პირველს საათზე, მიხეილის ქუჩაზე იაგორ მამაჯანოვმა დუქნის ფანჯარა შეუმტვრია იაკობ შმებევიჩს და უნდოდა საათი მოეპარა, მაგრამ მალე მიასწრო პოლიციელმა და შეიპყრო.

## სიტყვა

თქმული ხმოსან კ. მიქელაძის მიერ ტფილისის საბჭოს კრებაზე 13 იაივარს

იმ წუთს, როცა ვითხოვე, ნება მიბოძეთ ლაპარაკისა-მეთქი, მეგონა, რომ მოვახერხებ და ცხადად გავარკვევ ჩემს აზრს, დასურათებით გამოვსთქვამ ჩემს გრძნობასა მეთქი. მაგრამ, უნდა გამოვტყდე, ახლა გული მიღელავს და აჩქარებით მიცემს. არ მშორდება ის ფიქრი, რომ ჩვენი ქალაქის მმართველობაც მონაწილე და მოზიარეა იმ დანაშაულობისა, რომელიც მზადდებოდა მთელის ერთის თთვის განმავლობაში და რომელსაც შედეგად მოჰყვა ნათლიღების საზარელი უბედურება. მზადდებოდა ეგ დანაშაულობა არა ბნელს ღამეს, არამედ წარსულ დეკემბრის მზიანს დღეებში. ხელში შერჩეული გასაღები-კი არ სჭერიათ, ან ხანჯალი-კი არა ჰქონია ვისმე დამალული უბეში, არამედ კვერი ეჭირათ ერთს ხელში, ხოლო ცული—მეორეში. დანაშაულობა მზადდებოდაა სადმე ჯურღმულშიკი არა, საცა კაცის თვალი ვერას გაარჩევს, არამედ შუა-გულს ქალაქში, იმათ თვალ წინ, ვისიც ჯერ იყო ცოდნა ამ გარემოებისა. ასეთ დანაშაულებად ვსახავ მე მტკვარზე დროებით ხიდის გადებას, იმ ხიდის გადებას, რომელზედაც უნდა გაევლო ხალხს დიდებითა და ლიტანიით ვანქის ტაძრიდამ იორდანემდე. ვინ აშენებდა ამ ხიდს? აშენებდა მღვდელი, კეთილ-მსახური მოძღვარი ტერ-კოსტა არარატიანი. იჯარით აიღო მან ამ ხიდის აშენება თავისს მთავრობისაგან. შენდებოდა ხიდი და ხელშიკი არ ეჭირათ, არც გეგმა-პროექტი, არც ნება-რთვა ხიდის გადებისა და, რაც უფრო საკვირველია, არ ჰყავდათ მცოდნე კაცნი, ინჟენერები, რომ თვალ-ყური ეგდოთ ხიდის გადებისათვის. მერე რა აღმოჩნდა ბოლოს? აღმოჩნდა, რომ ხიდი აეშენებინათ დამპალის ხე-ტყით, აეშენებინათ ისე, რომ არ დაეცვათ არც ერთი, სულ მცირე მოთხოვნილებაცკი ხუროთ-მოძღვრებისა. აღმოჩნდა, რომ ეს შენობა ხიდი-კი არ იყო, არამედ მახე და ხაფანგი, რომელმაც ასობით მიიტყუა ხალხი, რომელმაც ასობით დაჰღუპა და დაასახიჩრა ჩვენი თანა მოქალაქენი.

---

ლია ღვთისგან გაჩენილ სოფლის შვენების ჭვრეტას. ბუნებისა და ხელოვნების სურათნი, ათასგვარად შეზავებული ფერადები, ვარსკვლავნი, მოჭედილის ცის სიმშვენიერე, სხვების სახე,—ყოველივე დაფარულია იმისთვის განუწყვეტელის უკუნით. ამ უბედურთა გონება ნაკლებ არის მიქცეული გარეშე შთაბეჭდილებისაკენ: თითქო აკლიაო სანათური, რომელშიაც შეეძლოს გარშემო ბუნების დანახვა, ის იწოდებს საშველად თავისს მდიდარს ფანტაზიას და ამის დახმარებით იჩენს თავისთვის საკუთარს მსოფლიოს. თუ ერთმა რომელმაცღა ბრმამ სთქვა ერთხელ, წითელი სინათლე საყვირს უნდა ჰგავდესო, ეს გვიჩვენებს, თუ რა ძალას ატანს საწყალი უსინათლო გონებას, რომ გამოირკვიოს მიუწვდენელი საგანი იმასთან შეფარდებით მაინც, რაზედაც უკვე მიუწვდება გონება, და ამგვარად წარმოიდგინოს ის, რასაც კაცი მხოლოდ ხედვით ითვისებს.

ამ გარემოებისდა მიუხედავად ბრმებს შეუქმნიათ არა ერთი უკვდავი პოეტური ნაწარმოები და გასაოცარის ხელოვნებით გამოუხატავსთ ბუნება და ადამიანი.

თუ ჰომერი, ძველის დროის უდიადესი პოეტი, მართლა უსინათლო იყო, როგორც გვიამბობს ზეპირთქმულობა, მაშინ, როცა ჰქმნიდა თავისს დიდებულ პოემებს „ილიადასა" და „ოდისსეას", მით უფრო საქებურია ამ ნაწერების პოეტური მნიშვნელობა, რადგან მათდა შესაქმნელი მასალა დაკვირვებით როდი წარმოშობილა, არამედ დამწერის საკუთარი შემოქმედებითი სულიერი ძალა ყოფილა. შეიძლება, პოეტის პირადობაცა და იმისდა მითვისებული ნაკლიც ლიტონი ზღაპარი იყოს, მით უმეტეს, რომ ამ თქმულობას ვერ უმკვიდრებს საფუძველს ვერავითარი ისტორიული საბუთი. როცა კითხულობ ბუნების მდიდრად შეფერადებულს აღწერას, ეჭვი გეპარება თავში, რომ შეუძლებელიაო ასეთი წერა სხვა გვარად, თუ არ დაკვირვებით, მაგრამ მეორეს მხრით „ოდისსეაში" გამოყვანილი ბრმა მომღერალი ერთობ ნამდვილად არის გამოსახული, და ამიტომაც ამ პოემის ყველა განმმარტებელი იმ დასკვნამდის მისულა, რომ მარტო ბრმასვე შეეძლო ბრმის ასეთი გამოსახვაო.

მილტონი, დიდებული ბრიტანელი, რომლის მთავარი ნაწარმოებიც „დაკარგული სამოთხე" ხადის იმას მთელის ქვეყნის დიდებულ პოეტთა ტოლ-სწორად, სრულებით ბრმა იყო, როცა სწერდა თავისს ქებულს პოემას. ამ პოემის თორმეტივე ხმა იმან კარნახით დააწერინა თავისს ქალს, მაგრამ, რადგან ორმოც წლისაზე მეტი იყო, სინათლე რომ დაჰკარგა, ამიტომ შეეძლო ესარგებლა იმ შთაბეჭდილებით, რომელიც სინათლის დაკარგვამდის მიღო.

ერთად-ერთს მაგალითს უსინათლო სარდლისას წარმოგვიდგენს ისტორიაში ჟიჟკა, გუსიტების შეუპოვარი წინამძღოლი. ერთის უბედურის შემთხვევის გამო ჟიჟკამ სიყრმეშივე დაჰკარგა მარცხენა თვალი და მერე, ციხე რაბის გარს შემორტყმის დროს, ნატყორცნმა ისარმა მეორეც დაუმსო. გუსიტებმა ამ უეცარს ფათერაკს შემდეგაც არა ჰქნეს და მაინც არ დაანებებინეს თავი წინამძღოლობას. სანამ ბრძოლა გაიმართებოდა, ჟიჟკა უბძანებდა, დაწვრილებით ამიწერეთო ბრძოლის მიდამო, და აღწერისდაგვარ დააწყობდა ხოლმე ჯარს. ძვირად შეეშლებოდა საომარი თავდარიგი და თითქმის ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა ომიდამ.

ველიზარის, ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანე პირველის სახელოვანს მხედართ-მთავარს, მხოლოდ გაკვრით მოვიხსენებთ, რაკი თქმულობას იმის შესახებ, ვითომც ეს დიდებული სარდალი ერთს წაგებულს ბრძოლას შემდეგ დაებრმავებინოსთ, არა აქვს ისტორიული საფუძველი. მაგრამ დაბრმავებულის მხედართ-მთავრის სახესურათი-კი არა იშვიათად გამომდგარა სადრამო და სახელოვნო ნაწარმოების საგნად. ყველაზედ უკეთ გამოსახა იგი საფრანგეთის მხატვარმა ჟერარმა, რომლის სურათის პირი მეტად გავრცელებულია ყველგან.

განოვერის უსინათლო მეფე გიორგის შევეხებით მხოლოდ იმიტომ, რომ 1766 წლის მარცხს შემდეგ ის შეიქმნა ისტორიულ პირად.

ტრაგი-კომიკური შთაბეჭდილება რჩება მაყურებელს, როცა უცქერის ბრმა დრამატიულს არტისტს ლუი ჯოტტოს, რომელიც ვიჩენცში სცენაზე, ილლუზია რომ უფრო სრული ყოფილიყო, თამაშობდა, თან-დათან მეტის მოწონებით, ბრმა ედიპის როლს სოფოკლის ტრაგედიაში. სასცენო რეალიზმი აქ ცოტა მეიჰარბებდა და, თუ გზა-აუქცეველ სიპირდაპირეს ავყევით, ისიც-კი უნდა მოვითხოვოთ, რომ „ვილჰელმ ტელლში" მოხუცს ატინგაუზენს ბრმა თამაშობდეს, „პრეციოსში" პედრო მართლა მოიკვეთდეს და ხის ფეხს ატარებდეს და მაიორი ტელგეიმი ლესსინგის „მინნა ფონ-ფარნგელმში" მოიგდებინებდეს მარცხენა ხელს, რათა უფრო მიმსგავსებით გამოსახოს თავისი სათამაშო.

(დასასრული იქნება)

ბატონებო, ჯერ კიდევ მჯერა, რომ არსებობს სამართალი და უკეთუ ეგ მადლიანი წყარო ჯერ კიდევ არ დამშრალა ამ ცოდვილს დედამიწაზედ, უკეთუ სახელმწიფოში არსებობს კანონები, დამნაშავენი სამაგალითოდ უნდა იქმნამ დასჯილნი.

მაგრამ განა შესაძლოა ამით დავიმშვიდოთ გული? ცოტად თუ ბევრად ჩვენც ხომ არ გვიდევს წილი ამ სამწუხარო ამბავში? ხმოსან ნ. ზუბალოვის მიერ ეს არის ეხლა წაკითხულ მინისტრის ცირკულიარიდამ სჩანს, რომ დასტურის დართვაცა ბ ყურის გდებაც საზოგადო შენობის აგების საქმეში თავიდამ ბოლომდე საგუბერნიო მმართველობის საშენებო განყოფილების მოვალეობაა. რაკი ასეა, მაშ რა საფუძველი ჰქონდა გამგეობას, რომ 15 წლის განმავლობაში ყოველ წლივ იღებდა კონსისტორიისაგან ქაღალდს ხიდის აშენების ნება-რთვის თაობაზე და ჰგზავნიდა ტეხნიკოსებს ხიდის სიავ-კარგის შესამოწმებლად. ცხადია, იმიტომ არ იქცეოდა ასე, რომ წყურვილი ჰკლავდა თავის მოღვაწეობის სარბიელის გაფართოებისა. გამგეობა იჩემებდა უფლებას, რომელიც სრულიად სხვა დაწესებულებას ეკუთვნოდა რუსეთის კანონების არ-ცოდნის გამო. მაშასადამე, რა-კი ეს კანონები არ იცოდა და დარწმუნებული იყო, რომ დასტურის დართვა ამისთანა შენობათა ასაგებად, მისი საქმე იყო, უნდა გაერკვია და გაეთვალისწინებინა ის მოვალეობანიც, რომელიც აქედამ წარმოსდგებოდა. მერე როგორ ასრულებდა ამ მოვალეობას? კონსისტორიამ, წინა წელთა მაგალითისამებრ, მიჰმართა გამგეობას და სთხოვა ინჟენერი გამოგვიგზავნეთ, ყური უგდოს ხიდის აშენებასაო. გამგეობამ მოითხოვა პროექტი; პროექტი არ წარუდგინეს; ხიდის აშენებას მაინც განაგრძობდნენ. გამგეობა-ღა როგორ მოიქცა? გამგეობას უნდა შეეყენებინა მუშაობა ან თავის აგენტებისა და ან პოლიციის შემწეობით; გამგეობა არც ასე მოიქცა და არც ისე. ეს კიდევ არაფერი, გამგეობის ძველმა წევრებმა, რომელთა შორის ერთი განაგებს საშენობელს განყოფილებას, ხოლო მეორე თვალ-ყურს ადევნებს ქალაქის გარეგანს მოწყობილობას, არ აუწყეს ეს გარემოება თავისს პირდაპირს უფროსს, ქალაქის მოურავს, კაცსა ახალსა, რომელსაც არ შეუძლიან იცოდეს ყოველი საქმე, რომელიც ქალაქის თვით-მმართველობას ეკითხვის. ერთის სიტყვით, ძველის გამგეობის წარმომადგენელნი ამ საქმეს ბიუროკრატულის გულაცრუებით მოექცნენ, ფორმალურად, მეტს ვიტყვი კიდევ, სრულიად უგულოდ. აქაც-კი, სარწმუნოების საქმეში, საერო დიდებასა და ლიტონიობაში თავი იჩინა გულის-შემაწუხებელმა რუტინამ.

ამისთანა საქციელი დღემდე ქალაქს ქონებრივს ზარალს აძლევდა—მაგისთანა საქციელმა ჩაგვყარა დღეს იმ დიდს საეკონომიო გაჭირვებაში, რომელიც ამ ჟამად გვატკბობს და გვახარებს. დღეს-კი მაგისთანავე საქციელია ერთი იმ მიზეზთაგანი, რომელმაც სიცოცხლე მოუსპო ათსა და ოცს საცოდავს, ჩვენს თანამოქალაქეს რომელთა ქვრივნი და ობოლნი იძულებულნი არიან ხელ-გაწვდილნი იარონ და მოწყალება ითხოვონ.

როცა ჩვენის ქალაქის წარმომადგენელნნი ზოგიერთი ხმოსანნი, რომელთა შორის მაქვს პატივი მეც ვითვლებოდე, აქ ამ დარბაზში, თქვენს წინაშე ამბობდნენ, რომ ქალაქის თვით-მმართველობის საქმე ახალი და მიმზიდველი საქმეა, რომ იმას ფორმალურად, გულ-ცივად, ბიუროკრატიულად-კი არ უნდა მოვექცეთ, არამედ გულ-მტკივნეულობით, მხნედ და თაოსნობით, ქალაქის მმართველობის ძველებურის წესის მომხრენი არწმუნებდნენ ხალხს, რომ ვითომ ჩვენ ქალაქის საჭიროება და სარგებლობა-კი არა გვაქვს სახეში, არამედ სულ სხვა ფიქრი და განზრახვა გვიდევს გულში. იმედია ხალხი ეხლა მაინც გაახელს თვალებს და დაინახავს, ვინც არიან მისი ჭეშმარიტნი მომხრენი და მეგობარნი.

მე მგონია, დარწმუნებულიცა ვარ, რომ ის შორეულნი, არა-პირდაპირნი დამნაშავენი, რომელნიც მე ვახსენე და თქვენც კარგად ხართ მიხვედრილი მათს ვინაობას, თავიდამ აიცილებენ ფორმალურად პასუხის-გებას. მაგრამ ისინი ჯერ კიდევ დიდ-ხანს, ძალიან დიდ-ხანს იხდებიან ბრალდებულთა სკამზედ საზოგადოების აღშფოთებულ სინიდისის წინაშე.

---

## კრიტიკული განხილვა ფილოქსერიან ვაზის წამლობის მეტოდებისა ტეხნიკურისა და საეკონომიო მხრით

(მოხსენება ი. ა. სტაროსელსკისა, წაკითხული 14 იანვარს სამეურნეო საზოგადოებაში)

ვიდრე ფილოქსერიან ვაზის წამლობის მეტოდებს კრიტიკულად განიხილავდა, ბ-ნი სტაროსელსკი ჯერ ამ საგნის ლიტერატურას შეეხო. ბ-ნ სტაროსელსკის აზრით, უცხოეთშიაც და რუსეთშიაც ყოველს მეტოდს ვაზის წამლობისას თავისი მომხრეები ჰყავს, მაგრამ იმ განსხვავებით-კი, რომ უცხოეთში ერთის რომელისამე მეტოდის მომხრე, იმავე დროს მავნედ არა ჰხადის მეორე მეტოდს ვაზის წამლობისას, ხოლო რუსეთში სულ სხვა ნაირად იქცევიან: იქ ერთის მეტოდის მომხრენი მეორეს სრულიად უარ-ჰყოფენ. ამის გამო ჩვენში ეს ფრიად საყურადღებო და საჭირ-ბოროტო საგანი ძლიერ ნაკლებად და ცალმხრივადაა გამორკვეული. საგნის რიგიანად გასათვალისწინებლად საჭიროა, კრიტიკულად განხილულ იქმნას ვაზის წამლობის ყოველივე მეტოდი და ამიტომაც მოვკიდე ამ საქმეს ხელიო—სთქვა ბატონმა სტაროსელსკიმ და განიხილა კიდეც სამი მეტოდი: ა) წამლობა ვაზისა ფილოქსერის მოწამლვით, ბ) წამლობა წყლის დაგუბებით ვენახში და წამლობა ელექტრონის ძალის შემწეობით.

ამ ჟამად ზოგნი გვირჩევენ, ვაზის წამლობაზე ხელი აიღეთ და იმის მაგიერ შეუდეგით გაშენებას ამერიკულ ვაზისას, რომელსაც ფილოქსერა ვერას აკლებსო. მაგრამ ეს საქმე ყოვლად მოუხერხებელია, რადგან ძლიერ დიდი ხარჯი დასჭირდება და გლეხები ვერ აუვლენ. თუ დაიწყეს ამერიკიდგან ვაზის ზიდვა, ჩვენშიაც სწორედ ის ამბავი მოხდება, რაც საფრანგეთში მოახდინა ამ საქმემ ე. ი. მცირე მამულის პატრონებს ხელიდგან გამოაცლიან მამულს ფულის პატრონები, რომელნიც, კითხვა არ უნდა, ჩაერევიან საქმეში.

ეხლანდელს ვენახებს რომ არ ვუწამლოთ, თავი მივანებოთ და ამერიკულის ვაზის გაშენებას შევუდგეთ, მაშინ რაც ვაზი გვაბადია, სულ გაგვიოხრდება, ვერც ამერიკულს ვაზს გავაშენებთ დროზე და ჩვენი ქვეყანა, სრულიად გაველანდება, უდაბნოს დაემსგავსება.

მაშ უთუოდ ვაზს უნდა ვუწამლოთ, მაგრამ გვიშველის რასმე წამლობა და რაც ხარჯი მოგვივა წამლობაზე, იმის სამაგიეროს ავიღებთ ვენახებიდგან? პასუხად ამ საგნისა ბ-ნმა სტაროსელსკიმ ცნობანი მოიყვანა საფრანგეთის ზოგიერთის ოლქისა, სადაც ფილოქსერიანს ვენახებსა სწამლობენ, და ის აზრი დაასკვნა, რომ ვაზის წამლობა ხარჯსაც აგვიყენებს და კარგს შემოსავალსაც მოგვცემსო.

საფრანგეთში ფილოქსერიან ვენახების წამლობა გოგირდოვანის ნახშირ-მბადით 1877 წელს დაიწყეს. ამავე დროს ამერიკულის ვაზის გაშენებასაც მიჰყვეს ხელი. 1879 წელს ბეზიეს ოლქში მხოლოდ 8 კაცმა უწამლა სულ 350 ჰექტარის (ჰექტარი თითქმის ორი დღიურია) სივრცის ვენახებს, 1880 წელს 115 კაცმა 1351 ჰექტარს ვენახებს, ხოლო 1881 წელს 435 კაცმა—4298 ჰექტარს. მდინარე რონის ხეობაზე 1879 წელს 3758 ჰექტარს ვენახს უწამლეს, ხოლო 1880 წ. 8567 ჰექტარს.

პატარა ვენახების პატრონებმა რომ ველარ შესძლეს ცალკ-ცალკე თავთავიანთის ვენახების წამლობა, სინდიკატები (ამხანაგობანი) დააარსეს და ამ სახით შეერთებულის ძალით გაუმკლავდნენ ვაზის მტერს ფილოქსერას. ამ სინდიკატებს მთავრობაცა და კომმუნებიც შემწეობას აძლევდნენ. 1889 წელს მთავრობაცა და კომმუნებიც 681 სინდიკატს თითოს 50 ფრანკით დაეხმარნენ. ამას იმიტომ შვრებოდნენ, რომ ფილოქსერიან ვაზის წამლობა ხეირს აძლევდა, ღვინის მოსავალი უკეთესდებოდა. კარგად ნაწამლი ვაზი საღ ვაზის ოდენა მოსავალს იძლევა და იმისავითვე ხეირობს, მხოლოდ საჭიროა, რომ მთელს ვენახს ყოველ წლივ უწამლონ ხოლმე მაშინ, როდესაც ვაზი ჯერ სრულად არ განადგურებულა ფილოქსერისაგან.

ამას შემდეგ ბ-ნი სტაროსელსკი შეუდგა თვით ვაზის წამლობის მეტოდების განხილვას თვითოეულისას ცალკ-ცალკე ტეხნიკურისა და საეკონომიო მხრით.

(დასასრული ხვალ)

---

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**გურია.** პირველად, რასაკვირველია, როგორც წესი და რიგია, როგორც ადათი და ჩვეულებაა, მოგილოცავთ ახალს წელიწადს. ღმერთმა ჰბრძანოს და ინებოს რომ ახალს ახალი-რამ სიკეთე მოეტანოს ჩვენის ერისა და ქვეყნისათვის და ძველი წყლული გაემთელებინოს. ამას გარდა, იმედია, ჩვენს ამბავსაც იკითხავთ და იუწყებთ! ღმერთმა კარგად გიკითხოთ და მოგიხსენიოთ! გახლავართ ღვთისა და თქვენის იმედით ცოცხლები, გვიდგია „გარჯილი და გაძაღლებული სული“, ხოლო რაც შეეხება ამბავს, ამისი რა მოგახსენოთ!.. ამბავი ჩვენში არაფერია, ესე იგი ამბავი ბევრია, მაგრამ რომ ვილაპარაკოთ ამის გამო, არაფერი გამოდნება, გარდა იმისა, რომ თითონ მოლაპარაკეს გახდიან საამბოდ და საარაკოდ. ზემოდ მოგახსენეთ, რომ გახლავართ-მეთქი, ახლა მივხვდი, რომ „გახლავართ“ ძალიან უადგილოდ ვიხმარე. თუ გნებავთ, ხატზე დავიფიცავთ, რომ არ ვიცოდეთ, ვის ვახლავართ და ვისთვის და რისთვის ვცხოვრობთ. თუ მართალს გვათქმევინებთ, ის უფრო სიმართლე იქნება ვსთქვათ, რომ ჩვენ ჩვენის ავლა-დიდებით, ჩვენის სულითა და ხორცით, ჩვენის ცოლითა და შვილით ამ ჟამად ვახლავართ მათს უუ... აი დალახვრა ღმერთა, არც-კი ვიცი რა „ტიტულით“ მოვიხსენიო? მათს უუდიდ-გულესობას ბატონთ ფირალებს. ხუმრობა ხომ არ არის, ბატონო, ფირალების შიშით შობა არ შეგვიტყვია და კალანდა. ვინ იყო თავდები, რომ ახალ-წლის მეკვლედ ფირალი არ მოგვადგებოდა კარებზე! არა, სირცხვილი-კია, რომ ოთხმა ყაზილარმა მთელი მაზრა არიოს და აამტუტოს და არავის არაფრად აგდებდეს, მაგრამ რას იზამ, როცა მეტი ჩარა არ არის. წარმოიდგინეთ ჩვენი განაცარ-ქექიავება და გაღაჩრება, რომ ფირალები არა თუ ერთსა და ორს კაცს ძარცვავენ ცალკ-ცალკე, არამედ მთელს სოფელს, მთელს დაბას. ამას ცხადად ჰმოწმობს ხიდის-თავსა და ნაგომარში მომხდარი ამბავი. ამას შემდეგ ამ აბეზართა შესახებ ის ვიცით, რომ ერთს ალაგს, რომელსაც ცხემლის ხიდს უწოდებენ, ორი სოფლიდგან გაწვეული ყარაული გამოასალმეს სიცოცხლეს. ხოლო ამ დღეებში ისევ ხიდის-თავის მახლობლად გამოჩენილან, ერთი შეძლებული კაცი გაუძარცვავთ, მეორისას უვახშმიათ და არხეინად განუგრძვიათ გზა. თან მასპინძლისათვის დაუბარებიათ, თედორაძეს (ხიდის-თავში მოვაჭრე, რომელიც გაძარცვეს ამას წინად) გადაეცით ჩვენ მაგიერ, რომ ტყუილს ნუ ამბობს, თითქო ჩვენ მისგან 400 მანეთი წაგვეღოს. 200 მანეთი იყო მხოლოდ, ხოლო თუ მაინცა და მაინც თედორაძე თავისას არ დაიშლის, არც ამაზედ ვაწყენინებთ, შევისრულებთ 400 მანეთადო.

ეჰ, რაღა ბევრი გავაგრძელოთ, გაგვიგრძელდეთ სიცოცხლე და კარგად ყოფნა, სახუმრო და სამასხარო აღარ არის ჩვენი საქმე. სულის წაწყმენდა იქნება, რომ აქაურს პოლიციას ამის გამო რაიმე ვუსაყვედუროთ. პოლიციას და იმის აგენტებს ფირალების გამო შიშითა და ფიქრით ვერც დღე და ვერც ღამე ვერ მოუსვენიათ. პოლიციასთან ერთად სოფლებიც ფეხზე დგას. მაგრამ ამაოდ. ან-კი რა უნდა გააწყოს თავიდამ ფეხებამდე იარაღში ჩამსხდარსა და ახალის სისტემის თოფით აღჭურვილს ფირალთან სოფლის ყარაულმა, რომლის იმედი საჩიტე თოფზეა მიგდებული. ხოლო საჩიტე თოფი ისეთი საიმედო იარაღია, რომ შაშვზე უძლიერესთან და უძვალ-მსხვილესთან ვერაფერს გააწყობს. ასე გასინჯეთ, ხანდახან შაშვიც გადურჩება ამ გვარის თოფებისაგან დაჭრას და გადაურჩება უმკურნალოდ და უდოსტაქროდ. მოდით ახლა და ასეთის თოფებით გაუბედეთ ბრძოლა თავზე ხელ-აღებულს კაცებს! რასაკვირველია, ძნელია. ხოლო ამაზედ უძნელესი ისაა, რომ ასეთის განკარგულების წყალობით რომელსამე წვრილ ცოლ-შვილის პატრონს გლეხს გამოასალმებენ წუთი-სოფელს.

—

როგორც ჰხედავთ, ფირალები და მათნი საქმენი გვეყოფოდა ჭირად და ვარამად, მაგრამ უმადურმა ბედმა ეს უბედურება არ გვაკმარა. ფირალებზე მეტს ბაჟს იღებს ახლა ჩვენგან ფულისას და ადამიანის სიცოცხლისას ეს ინფლუენციად წოდებული სენი, რომელიც მთელს მაზრაშია მოდებული. სანამ დღესასწაულები მოვიდოდა, ეგ სენიც არსადა ჩნდა, ხოლო დღესასწაულებზე ისეთ რიგად მოედო მთელს მაზრას, რომ ფეხზე აღარავინ დარჩენილა, სულ ჰერეხებივით ეყარნენ ლოგინში და ჰბოდავდნენ. ამ ბოდვასა და ბურანში არიან დღესაც ჩვენები და დღესასწაულები-კი გაიპარა. ინფლუენცია სქესისა, წოდებისა, სამსახურისა და წლოვანების მიუხედავად ჰმოქმედობს. აღარავისი გარჩევა და შებრალება აღარა აქვს. სიცილს ველარ იკავებ, რომ უფროსის მაგიერად, რომელსამე თარჯიმანს მოუწერია ხელი ქაღალდზე, ხოლო მდივნის ალაგას უბრალო მწერალი, ანუ გადამწერელი წარმოსკუპებულა. დიაღ, ინფლუენცია პოლიციის კარებსაც აღარ დარიდებია და იქაც შეუთხელებია მომუშავეთა რიცხვი. ერთად ერთი ფირალები დარჩენილან, რომელთაც ინფლუენცია ვერაფელს აკლებს და რომელნიც ყოველ გვარს ხაფანგს პოლიციისასაც ადვილად უსხლტებიან. ესეც ბედია, თორემ სად გაგონილა სხვაგან, რომ ადამიანს სენი შეეშინებინოს და არა სენს ადამიანი. ამის გამოა, რომ რომელიმე სოფლელი სასოწარკვეთილებით გეტყვის: ჭირს ვერაფერი დაუკლია იმათთვის და ჩვენმა საჩიტე თოფმა და მუქარამ რა უნდა დააკლოსო!

ამბობენ და შეიძლება მართალიც იყოს, რომ ინფლუენციანს ტვინის შეხურება მოუხდებაო; ხოლო ჩვენ ამ მხრითაც არ გვწყალობს ბედი. იზაბელას ღვინოს გარდა სხვა ღვინო არ გაგვაჩნია, ხოლო ამ ღვინით ტვინი შეუხურდება-კი არა, გაეყინება კაცს. უხაროდეთ ქართლ-კახელებს, რომელთაც ღვინო საბანაოდ მოუვიდათ წელს! ალბად იმათ ინფლუენცია ვერაფერს დააკლებს! თუნდაც ამ დღესასწაულებზე ეს ახირებული სენი არ გვსტუმრებოდა, მაინც რა გემო და ხეირი ექნებოდა დღესასწაულებს უღვინოდ! ნეტავი შეიძლებოდეს და ერთს პირობაზე დავიყოლიებდეთ თლ-კახელებს. გვიგზავნონ ღვინო, რამდენიც მოგვინდება და სამაგიეროდ სოფლო სკოლას დავუარსებთ, დავუარსებთ, რამდენიც მოუნდებათ. ამ შემთხვევაში ვიცით არ წავაგებთ, რადგანაც სკოლის აშენება მოგვინდება მარტო, ხოლო მასწავლებლის დაქირავება საჭირო არ იქნება. ქართლელსა და კახელს ისე რა ეშმაკი შეაცდენს, რომ სკოლისათვის მოაცდინოს ბავშვი.

კალამი

---

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

კვირის ნომერში ჩვენ მოვიხსენიეთ აზრი გაზეთ „Кавказъ“-ისა გურიაში გავრცელებულ ავაზაკობის შესახებ. თავისს მეათე ნომერში

იგივე გაზეთი განაგრძობს ამ უსიამოვნო საგნის განხილვას და ამბობს, რომ, მართალია, ავ-ზნეობისა და ბოროტების ამოსაფხვრელად საჭიროა გონებისა და ზნეობის წარმატება ხალხში, მოდონიერება იმის ქონებრივის შეძლებისაო; მაგრამ ყველა ამას დრო უნდა და მანამ-კი უნდა მივმართოთ პოლიციურს ღონისძიებას ავაზაკთა ბრბოსთან გასამკლავებლადო. გაზეთი მოგვითხრობს, რომ 1888 წელს კავკასიის მთავრობამ სამინისტროს წარუდგინა პროექტი, საერო პოლიციის მოხელეთა რიცხვი დამტკიცდეს 3500 კაცამდე, რომელთათვის გადაიდოს წლიურ ხარჯად 800,000 მანეთამდეო. ეს პროექტი ჯერ არ დამტკიცებულაო და თუ დამტკიცდა, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საერო პოლიციის დაარსება ქუთაისის გუბერნიაში შეამცირებს ავაზაკობას. მართალია, სხვა გუბერნიებში, სადაც ამისთანა პოლიცია შემოღებულია, ავაზაკობა მაინც თავისას არ იშლის, მაგრამ არც ის არის საეჭვო, რომ შემოღება ახალის დაწესებულებისა, რომელმაც უნდა შესცვალოს საშუალებანი ქვეყნის პატრონობისა, რაოდენადმე შეამცირებს დღევანდელს ძარცვა-გლეჯას. ბოლოს მაინც და მაინც უნდა დავსძინოთ, რომ რაც გინდ კარგა მოეწყოს ქვეყნის პატრონობა, ამ პატრონობას მხარდამხარ უნდა მოსდევდეს ის ზრუნვაც, რომ მოსპობილ იქმნას ის ზოგადი გარემოებანი, რომელიც ხელს უწყობს ავაზაკობას.

ჩვენის აზრით, გაზეთს სულ რომ ამ ბოლო აზრზე დაემყარებინა თავისი ფრიად სასიამოვნო გულ-შემატკივრობა გურიის უბედურების შესახებ, არ შესცდებოდა, რადგან თვითონვე ამბობს, საერო პოლიციამ ხელი ვერ შეუშალა ავაზაკობას იქ, სადაც ასეთი პოლიცია არსებობსო. მაშასადამე, რა საჭიროა აკიდება 3500 კაციანის „ბრიგადისა“, რომელსაც წელიწადში თითქმის ერთი მილიონი მანეთი ფული უნდა ეძლეოდეს, როდესაც ამოდენა ფულით შესაძლო იქმნებოდა დაარსება უკანასკნელის 2000 სკოლისა სახელოსნო და საბაღოსნო განყოფილებით და ამისთანა „ბრიგადას“ ხომ არა შეედრება-რა როგორც ხალხის ზნეობისს ამაღლებისა, ისე გონების განვითარებისა და ქონების გაძლიერების საქმეში.

**

რა დიდი მნიშვნელობა აქვს ელევატორს მხვნელ-მთესველისთვის, მკითხველი აშკარად დაინახავდა ბ-ნ მაიაშვილის წერილებიდგან, რომელიც ჩვენს გაზეთში იყო გადმოთარგმნილი გაზ. „Нов. Обоз.“-იდგან. ამავ გაზეთის 11 იანვრის ნომერში დაბეჭდილია ფრიად საყურადღებო წერილი ბ-ნ ნიკოლაძისა იმის შესახებ, თუ ვინ უნდაააშენოს ელევატორი. ბ-ნი ნიკოლაძე სამართლიანად ამტკიცებს, რომ ელევატორის აშენება პირდაპირი მოვალეობა რკინი-გზის მართველობისა, რადგან გზამ თვითონ უნდა შეუწყოს ხელი საქონლის პატრონთ. გარდა მაგისა, კერძო დაწესებულებას ბევრი ხარჯი მოუვა, როგორც დახარჯულ ფულის სარგებლის გასტუმრებაზე, აგრეთვე მართველობის მოხელეთა ჯამაგირებზე, მაშინ როდესაც გზას შეუძლიან ფული აიღოს ხაზინიდგან 4 პროცენტით და არც უმთავრეს მოხელეთა ჯამაგირებზე წაუვა ფული, რადგან ამ საქმეს მზრუნველობას გაუწევენ იგინივე, ვინც ეხლაცა ჰყავს გზის მართველობასაო.

## წვრილი ამბავი

მცირე ხნის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი, ანტროპოლოგი კატრფაჟი. კატრფაჟმა და მ. ბროკამ საანტროპოლოგიო მეცნიერება დაიწყო საფრანგეთში.

— 1889 წელს პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ გამოჩენილმა ხუროთ-მოძღვარმა შარლ გარნიემ ერთი განყოფილება გამართა, რომელშიაც აშენებული იყო სხვა-და-სხვა შენობანი ძველის დროიდგან დაწყებული ჩვენ დრომდე. ეხლა ამავე გარნიემ და ამმონმა დიდი სურათებიანი წიგნი გამოსცეს. წიგნში 24 დიდი რუკაა და 335 სურათია ჩართული. სურათები სხვა-და-სხვა ნაირს შენობებს წარმოადგენენ პირველ ადამიანის ცხოვრებიდგან დაწყებული ეხლანდელ დრომდე. შენობათა აღწერა ისტორიკოსს ამმონის მიერ არის დაწერილი.

— გლადსტონი დაჰპირდა ამერიკის ჟურნალი „North American Review“-ის რედაქციას რამდენსამე წერილს გამოგიგზავნითო. თითო წერილში 3000 სიტყვაზედ ნაკლები არ უნდა იყოს. რედაქცია თავისს მხრივ დაჰპირებია გლადსტონს, რომ თითო წერილში ას თუმანს მოგცემთო.

— ამერიკელმა ქალებმა კარსეტებს ომი გამოუცხადეს და სახალხოდ დასწვეს მოედანზე. ერთს პარიჟის კარსეტების გამკეთებელს უთქვამს გაზეთ "Gaulos" თანამშრომლისთვის, მე ძლიერ გამეხარდება, რომ პარიჟელმა ქალებმაც დასწვან კარსეტები, რადგანაც დარწმუნებული ვარ, რომ მეორე დღესვე ახლებს იყიდიანო.

— ამას წინად პეშტში ერთმა კაცმა ერთი ძველი და გაჭუჭყიანებული სურათი იყიდა ძლიერ იაფად და მცოდნე კაცს მორეტს აჩვენა. მორეტმა სურათი გაასუფთავა და აღმოჩნდა, რომ ეს სურათი გამოჩენილს მხატვარს მეისონეს დაუხატავს თურმე. სურათის პატრონი მაშინვე პარიჟს წავიდა და სურათი 30,000 ფრანკად გაყიდა.

— მიჩიგანის შტატში (ამერიკა) ახალი კანონი დაუდვიათ, რომლის ძალითაც აკრძალულია პაპიროსების კეთება, ყიდვა და მოწევა. ეს კანონი მით უფრო ახირებულია, რომ სიგარისა და ჩიბუხის წევა არ არის აკრძალული.

— ინგლისურის ჟურნალის „The fiel“-ის თანამშრომელი სწერს, რომ მალტონში ერთი მროხა ვნახე, რომელსაც ერთი ფეხი ხისა ჰქონდა და ამ ფეხით მშვენივრად დადიოდაო სამოვრადაო.

— ადესის გაზეთში შემდეგი გულწრფელი განცხადებაა დაბეჭდილი:

თხოვნა.

ადესის მაზრის მემამულე ა. გ. ბრედიხინისა.

ბატონო ქურდო! 17 დეკემბერს თქვენ ინებეთ და მოიპარეთ ჩემი ოთახიდგან; მართალია, დანაკარგი ძლიერ მენანება; მაგრამ ჩემთვის უფრო საწყენაროა ჩემის ძველის საზღვარ გარეთის პასპორტის დაკარგვა. უიმისოდ მე არ შემიძლიან ახალის პასპორტის აღება. იმედი მაქვს, რომ თქვენ უფრო პატიოსანი კაცი ბძანდებით, ვიდრე... მე მგონია, რომ ჩემი პასპორტი თქვენთვის გამოუსადეგია და ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ დამიბრუნოთ „ყირიმას სასტუმროში“, № 6.

რომელი ქურდი არ შეიბრალებს ამ კაცს და არ დაუბრუნებს პასპორტს?

## დეპეშა

13 იანვარი

**სოფია.** სტამბულოვის დაჭრამ დიდად აალაპარაკა ხალხი. პირველში ყველას ისე ეგონა, რომ შემთხვევით-კი არ დამართია ეს უბედურება, იმისი მოკვლა სდომებიათო; დაბეჯითებით ამბობენ, რომ როდესაც პირველად გაისმა რევოლვერის ხმა, სტამბულოვი მარხილიდგან გადმოხტა და დაიძახა: „დაიჭით მკვლელიო!“ მისმა მახლობლებმა, რომელნიც იმასთან იყვნენ, ძლივს დაამშვიდეს. როცა სტამბულოვი სოფიაში მოიყვანეს, ექიმმა გასინჯა და სთქვა, რომ ეს ჭრილობა საშიში არ არისო. ამისდა მიუხედავად, სტამბულოვი ისე საშინლად აღელვებულიყო, რომ საკმაოდ ძლიერ გაეცია.

**ბერლინი.** გადაწყვეტილია, რომ ათს დღეს გლოვა იყოს დიდის მთავრის კონსტანტინე ნიკოლოზის გარდაცვალების გამო. სახვალიოდ დანიშნული კონცერტი სასახლისა გადაიდო. გადადებულია აგრეთვე სასახლის ბალი და ხელის - მოწერითვე გასამართი ბალი, რომელიც ოპერის თეატრში უნდა ყოფილიყო.

გუშინ საღამოს ბერლინზედ გაიარა შვეციის მემკვიდრე პრინცმა, რომელიც პეტერბურგს მიდის.

14 იანვარი

**პეტერბურგი.** დიდის მთავრის კონსტანტინე ნიკოლოზის ძის გარდაცვალების გამო სასახლეში დადებულია, რომ პირველის ხუთის ხარისხის წარჩინებულთ და აგრეთვე გვარდიამა და არმიამ სამს თვეს იგლოვოს.

გუშინ, ნაშუადღევის $2^1/_2$ საათზედ, პავლეს სასახლეში პანაშვიდი იქმნა გადახდილი; პანაშვიდს დაესწრნენ მათნი იმპერატორებითნი უდიდებულესობანი, მემკვიდრე ცესარევიჩი, დიდნი მთავრინანი და დიდნი მთავარნი.

გამოცხადებულია სახელმწიფო ქონებათა მინისტრის ცირკულიარი იმის შესახებ, რომ უსასყიდლოდ მიეცეს ხე-ტყე საშინაო მრეწველობისათვის მოუსავლობით დაზარალებულ ადგილების მცხოვრებთაო.

გაზ. „Русская Жизнь“-ის კვლავ ნება დაერთო თითო ნომრობით იყიდებოდეს და განცხადებანი ჰბეჭდოს.

პროფესორი სამხედრო სამკურნალო აკადემიისა მანასეინი, თავისისავე თხოვნის თანახმად, სამსახურიდგან დათხოვნილ იქმნა.

**პეტერბურგი.** დღეს, ნაშუადღევის 2 საათს და 30 წუთს, პეტერბურგში მოვიდა მემკვიდრე პრინცი შვეციისა და რკინის გზის სადგურზედ დაუხვდნენ ხელმწიფე იმპერატორი, მემკვიდრე ცესარევიჩი და დიდნი მთავარნი. იქვე იყო საპატიო დარაჯი იზმაილის პოლკისა, რომლის სამუსიკო ხორომაც მატარებლის დახვედრისას შვეციის საერო საგალობელი დაუკრა. ხელმწიფემ სტუმარი საზამთრო სასახლეში მიაცილა; შემდეგ შვეციის პრინცი ანიჩკინის სასახლეში წავიდა ხელმწიფე იმპერატრიცას სანახავად და დარბაზადვე ეწვია უმაღლესის გარეულობის სხვა წევრთ. დღეს საღამოზედ უავგუსტოესი სტუმარი დაესწრება უმაღლესს საგვარეულო სადილს ანიჩკინის სასახლეში. პრიცს აშალად ახლავს სამი სამხედრო წარჩინებული და ერთიც კამერჰერი.

პეტერბურგის ბირჟა, 14 იანვარი

| | მყიდვე-ლისა. | გამყი-დველისა. | გაყიდუ-ლისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 8, 16 | 8, 19 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | $162^3/_4$ | $163^3/_4$ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1, 17 | 1, 19 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | $234^1/_2$ |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 224 |
| —მესამისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი, . . . . | — ,, | — ,, | 200 |
| კირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | — ,, | — , | — ,, |
| 6%. . . . . . | — ,, | — ,. | — ,, |
| 5%. . . . . . | — ,, | — ,, | $89^3/_4$ |
| ქუთაისის ბანკისა . . | — ,, | — ,, | 102 |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . | — ,, | — ,, | 102 |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის:

სამშაბათობით: ნაშუადღევის 4 საათზე, მოკლე გზით, სუხუმსა და ნოვოროსიისკში შეივლის.

ხუთშაბათობით: ნაშუადღევის 4 საათზე, მოკლე გზით, ნოვოროსიისკში შეივლის.

შაბათობით: საღამოს 8 საათზე, შორის გზით, ყოველს ნავთ-სადგურში შეივლის.

ორშაბათობით: საზღვარ-გარედ კონსტანტინოპოლისაკენ, საღამოს 7 საათზე

ბათუმში მოდის:

ორშაბათობით: დილით, მოკლე გზით. გამოივლის კერჩსა და სუხუმზე.

ოთხშაბათობით: დილით, მოკლე ზით, გამოივლის კერჩსა და ნოვოროსიისკზედ.

პარასკევობით: საღამოზე, შორის გზით.

კვირაობით: დილით, სტამოლიდამ.

ფოთში მოდის ბათუმიდამ: ორშაბათობით, შუადღისას.

ფოთიდამ ბათუმს მიდის: ხუთშაბათობით, დილის 9 საათზე. (ბათუმში მიმავალ მგზავრთ შეუძლიანთ გადავიდნენ საფოსტო გემზე, რომელიც გადის ნაშუადღევის 4 საათზე).

კვირაობით: დილის 9 საათზე.

ფოთიდამ სუხუმს: ორშაბათობით, შუადღისას.

გემი „*Бабушка*“ ბათუმიდამ ფოთს მოდის კვირაობით და ოთხშაბათობით, ნაშუადღევის 2 საათზე. ბათუმიდამ გამოდის იმ დროს, რომელსაც დაჰნიშნავს ბათუმის საააგენტო.

ფოთიდამ ბათუმს მიდის:: სამშაბათობით, დილის 9 საათზე, იმ გემს მიუსწრობს, რომელიც სუხუმზე გაივლის და ოდესაში მიდის.

შაბათობით: დილის 9 საათზე. ესეც იუსწრობს ოდესაში მიმავალს გემს.



## განცხადებანი

ხუთშაბათს, 16 იანვარს, საღამოს $7^1/_2$ საათზე, საპიორნის ქუჩაზე, ისარლოვის სახლში, დანიშნულია მორიგი კრება კავკასიის სამკურნალო საზოგადოების წევრთა. კრება მორიგ საქმეების განხილვის შემდეგ აირჩევს საზოგადოების წიგნთ-საცავის გამგეს, და შემდეგ მოისმენს მოხსენებას კარპეჩენკოსას: рядъ чревосѣченій съ цѣлью опорожненія гнойниковъ въ разныхъ органахъ брюшной полости და შამინოვისას: о ревакцинаціи въ въ тифлисскихъ школахъ.

„სიჭაბუკის ცოდვა“

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავაშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენციისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამა სასარგებლო იგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებული მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზე დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს Otto Asperger Leipzig (საქსონიას). უცხო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან.

დაიბეჭდა და იყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

**კრილოვის არაკები**

ნათარგმნი თ. აკაკი წერეთლის მიერ

ფასი 30 კაპ.

ვინც ოცდათს ცალს ან მეტს იყიდის ერთად ნაღდს ფულზე, თითო ცალი 24 კაპეიკად დაეთმობა.

წერა-კითხვის სამმართველოში და ქართველთა ამხანაგობის მაღაზიაში ისყიდება

**ვაი მართალთა!**

მოთხრობა ანტ. ფურცელაძისა, გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან, ფასი 30 კაპ.



ქუთაისის თავად-აზნაურთ საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამ ბანკის წესდების მე-18-§ ძალით ქვემო აღნიშნულს რიცხვებში ბანკის გამგეობის სადგურში საზოგადო ვაჭრობით გასყიდულ იქნებიან ხსენებულს ბანკში დაგირავებულნი უძრავნი მამულნი ქვემო აღნიშნულთა პირთა, შესახვედრ გარდასახადთა შემოუტანლობისა გამო.

გასყიდვა მოისპობა მხოლოდ იმ მამულებისა, რომელთა მეპატრონენი, თანხმად ბანკის წესდების მე 19 §-ისა, შეავსებენ ბანკის გარდასახადს და თან განცხადებათა ხარჯებს.

ვაჭრობა დაიწყება ქვემო მოყვანილის თავნი ფულიდამ ზედ დამატებით სხვა-და-სხვა შეუვსებელის გარდასახადისა, მამულის გასასყიდლად დანიშვნაზე ხარჯებისა და, საზოგადოდ, ყველა იმ ფულისა, რომელიც ბანკს თვისის მოვალის სამაგიეროდ დაუხარჯავს; ბანკის ხანგრძლივი ვალის თავნის მოსპობა შეიძლება ამავე ბანკის გირაოს ფურცლებით, რორომელნიც მიიღებიან სახელდობრივის ფასისამებრ მანეთი მანეთად და აგრეთვე შეიძლება გადატანილ იქმნენ მყიდველზედ; ხოლო ვადაზე გადასახადი და სხვა